შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (9.621)

8-15 მარტი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი ამბულატორია-არბოშიკს

საქართველოს მასშტაბით 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მორიგი ამბულატორია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში დამონტაჟდა. ამბულატორიის მონტაჟს კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაესწრნენ.

საქართველოს მასშტაბით 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობისთვის საქართველოს მთავრობამ 2,4 მილიონი ლარი გამოყო. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად ახორციელებენ.

ყველა ამბულატორია სტანდარტულია და ჯამში 41-42 კვ.მ-ია. შენობა მომზადებულია სენდვიჩპანელებისგან, რომელიც 2 გამათბობლითა და 2 სველი წერტილით აღიჭურვება. აღსანიშნავია, რომ შენობის გარე და შიდა ინფრასტრუქტურა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ამბულატორიების კონსტრუქციები საქართველოში იწყობა და მას ლილოში არსებულ ქარხანაში აწარმოებენ.

მას შემდეგ, რაც მუნიციპალური განვითარების ფონდი შენობის ინფრასტრუტურის მოწყობას დაასრულებს, ამბულატორია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში გადავა, აღიჭურვება და ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას გაუწევს.

პუტინის ყირიმული ვნებანი

ყირიმიდან შემაშფოთებელი ამბები მოდის - კრემლი ნახევარკუნძულის, პრაქტიკულად, ანექსიას ახდენს, რაც მოსალოდნელიც იყო. უკრაინის ჯარი საბრძოლო მზადყოფნაშია და არც ისაა გამორიცხული, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს. ცივილური მსოფლიო, როგორც იქნა, აღშფოთება- შეშფოთების რეჟიმს გასცდა. ყოველ შემთხვევაში, სენატორი ჯონ მაკკეინი აშშ-ს პრეზიდენტს მოუწოდებს, ნატო-ს მოკავშირეები შეკრიბოს და დააფიქსიროს, რა დაუჯდება რუსეთს აგრესია.

მაკკეინის ამ ინიციატივას, პირდაპირ თუ ირიბად, ადმირალი ჯეიმს სტავრიდისიც იზიარებს, რომელიც აცხადებს: ,,ახლა, როდესაც სოჭის ოლიმპიადა დასრულდა, რუსეთის პრეზიდენტმა ნათლად აჩვენა თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი - ჰქონდეს გავლენა, თუ სრული კონტროლი არა, უკრაინაზე. მან ფორმალურად მიმართა რუსეთის პარლამენტს, მიეღო ნებართვა იმაზე, რაც უკვე გააკეთა – უკრაინაში ჯარების გაგზავნაზე. რუსეთის ჯარებმა ყირიმი დაიკავეს... მინდა, იმედი ვიქონიო, მაღალი დონის დიპლომატიური განხილვები გაერო- ში, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფს, თუმცა იმედი სტრატეგია არ არის, ამიტომ სამომავლო ნაბიჯები უნდა დაიგეგმოს. ნატო- მ სასწრაფოდ უნდა მოიწვიოს რიგგარეშე სესია, გათვალოს ყველა შესაძლო სტრატეგიული ნაბიჯი, იყოს მჭიდრო კონსულტაციების რეჟიმში უკრაინასთან, გაუწიოს კონსულტაცია სამხედრო სფეროში, თუ რა უნდა მოიმოქმედონ შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში... ბევრი პროვოკაციად ჩათვლის ნატო- ს ყველა მოქმედებას. სამწუხაროდ, ფსონები დიდია და რუსეთი მოქმედებს. უმოქმედობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან შეცდომა და პუტინისთვის სიგნალის გაგზავნაა, რომ მისთვის გზა ხსნილია''. მართალია, ,,ლაითად'', მაგრამ პუტინს თითს ბარაკ ობამაც უქნევს - რუსეთის პრეზიდენტთან 90-წუთიანი სატელეფონო საუბრისას, როგორც თეთრი სახლი იუწყება, ობამამ უკრაინაში რუსეთის მოქმედებები დაგმო და მოუწოდა, თავისი ჯარები უკან, ბაზებზე დააბრუნოს. ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხზე დგას. მოვლენები კოსმიური სიჩქარით ვითარდება და არავინ იცის, ხვალ კი არა, თუნდაც ერთი საათის შემდეგ რა მოხდება. პარალელურად, სხვადასხვა სოციალურ ქსელში ვრცელდება მოსაზრება, რომ ყველაფერი ეს, შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომის დაწყების საბაბი გახდეს. ეს შესაძლოა, უტრირებული შეფასებაა, მაგრამ ფაქტია: 21-ე საუკუნის მსოფლიო გადანაწილება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ,,თუ დასავლეთი ნებისმიერ ფასად არ დაიცავს უკრაინას, შემდეგი იქნება ბალტიის ქვეყნები, უნგრეთი და ა.შ. ანუ, უშუალოდ, ევროკავშირი. აღარაფერს ვამბობ მოლდოვასა და საქართველოზე. რა აზრი ჰქონდა 20 წლის წინ საბჭოთა კავშირის დაშლას, თუ ისევ ხონჩით უნდა დაუბრუნონ ყველაფერი რუსებს?! თუ ამ გზით რუსეთის შემდგომ დასუსტებასა და დაშლას ცდილობენ?!'' -წერს ქართველი ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე Facebook- ის საკუთარ გვერდზე. მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს ისიც ზრდის, რომ არსებული ინფორმაციით, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ლიტვამ და კანადამ რუსეთიდან ელჩები გაიწვიეს. ამასთან, ამ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში თურქეთიც ჩაერთო: როგორც თურქული გაზეთი Hürriyet წერს, ყირიმის მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, ის, ავტომატურად, თურქეთის შემადგენლობაში მოხვდება. სტატიის მიხედვით, არსებობს დოკუმენტი, რომელიც რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების მიერ 230 წლის წინ, 1783 წლის 19 აპრილსაა ხელმოწერილი და რომლის ძალითაც, ყირიმის ნახევარკუნძული ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა. ,,საყურადღებოა ერთ-ერთი პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ყირიმი არ გამოაცხადებს დამოუკიდებლობას და არ გადაეცემა მესამე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ავტომატურად დაბრუნდება თურქეთის შემადგენლობაში. 1991 წელს, როცა სსრ კავშირი დაიშალა და უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თურქეთს უკვე მაშინაც ჰქონდა ფორმალური უფლება, დაებრუნებინა ყირიმის ნახევარკუნძული, მაგრამ მაშინ თურქეთი მხოლოდ ყირიმელი თათრების უფლებების დაცვის მოწოდებით შემოიფარგლა, მაგრამ ახლა იმისთვის, რომ რუსეთს შეუერთდეს, ყირიმმა ოფიციალური კიევისგან დამოუკიდებლობა უნდა გამოაცხადოს და სწორედ ამ დროს, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დაცვით, თურქეთს შეუძლია, განაცხადოს: „ყირიმის მმართველობა კონტროლზე ამყავს'', – ნათქვამია თურქულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში. სხვათა შორის, თურქეთმა თავის ძალა რუსეთს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროსაც დაანახა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუკი რუსული არმია გეზს აჭარისკენაც აიღებდა, იქ წინააღმდეგობის გაწევა თურქეთთან მოუწევს... რუსი სამხედრო ექსპერტის, პაველ ფელგენგაუერის შეფასებით კი, ,,უკრაინაში რუსეთის მოქმედებებისა და ყირიმში რუსული სამხედროების შეყვანით დასავლეთსა და რუსეთს შორის გლობალური ხასიათის დაპირისპირება დაიწყო. მოსკოვს გაურთულდება ურთიერთობები როგორც დასავლეთთან, ისე კიევთან''. პაველ ფელგენგაუერი პარალელს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთანაც ავლებს და ,,ინტერპრესნიუსთან'' საუბრისას აცხადებს: ,,უკრაინის ხელისუფლება გაცილებით ჭკვიანურად

(გაგრძელება გვ. 6)

სილარიბის ფასი

გვ. 3

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება



გვ. 3

სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურის ვადა შესაძლოა შემცირდეს

გვ. 2

დაპირისპირება არხილოსკალოს სკოლაში

გვ. 5

C M Y K

ნარმანია - თვითმმართველობებში მომუშავე პროფესიონალები კონკურსის შემდეგ მუშაობას გააგრძელებენ

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, თვითმმართველობებში ისეთი ადამიანები მუშაობენ, რომლებსაც წლების განმავლობაში კონკურსი არ აქვთ გავლილი და უვადოდ არიან დანიშნული. ნარმანიას განმარტებით, თვითმმართველობების სტრუქტურის ცვლილების გამო ახალი კონკურსების გამოცხადებაა საჭირო.

მინისტრის თქმით, პროფესიონალები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობებში მუშაობენ, კონკურსის გავლის შედეგად ჩვეულებრივ გააგრძელებენ მუშაობას.

როგორც დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებასთან დაკავშირებით, მისი მოადგილე სახალხო დამცველს შეხვდება.

„როგორც ჩანს, გარკვეული თვალსაზრისით კომუნიკაციის პრობლემაა. ამიტომ, ჩემი მოადგილე სახალხო დამცველს შეხვდება და გაივლიან ამ საკითხს. ვინაიდან თვითმმართველობის სრულიად ახალ სისტემას ვიღებთ და თვითმმართველობებში სტრუქტურა იცვლება, ჩვენი მოსაზრებით, ეს ყველაფერი საჭიროებს ახალი კონკურსის გამოცხადებას. გარდა ამისა, თვითმმართველობებში მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც წლების განმავლობაში კონკურსი არ აქვთ გავლილი და უვადოდ არიან დანიშნული, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს, ისე, როგორც ცივილურ ქვეყნებში“, - განაცხადა ნარმანიამ.

შეგახსენებთ, საქართველოს სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.

როგორც უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, პარლამენტმა აღნიშნულ კანონში შეიტანა დამატება 1344მუხლის სახით, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე დროებით მოვალეობის შემსრულებლად გამოცხადდება. ამასთან, ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე, რაც არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 120 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს.

უჩა ნანუაშვილის თქმით, ეს მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რისკის ქვეშ აყენებს ზოგადად თვითმმართველობების საქმიანობას და შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეს გადაწყვეტილება გადახედილი იყოს.

მისი შეფასებით, თვითმმართველობების თანამშრომლების დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანით ადამიანის უფლებები ირღვევა.

„ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანთ სარჩელს, რომელიც იმედია ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს. საკონსტიტუციო სასამართლო ის ორგანოა, რომელსაც შეუძლია პარლამენტის მიერ დაშვებული შეცდომა გამოასწოროს“, - აღნიშნა ომბუდსმენმა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა უგულებელყო არა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, არამედ საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული უფლებები.

რეგიონებსა და სოფლებს წიგნები გადაეცემა

საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის ასობით სკოლას სახელმძღვანელოები გადაეცემა. წიგნები პროექტ „ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში საქართველოს ყველა უნივერსიტეტში, სკოლებსა და საჯარო ბიბლიოთეკებში შეგროვდება.

პროექტი სტუდენტური არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი სიცოცხლის“ ინიციატივით და სტუდენტების, სკოლის მოსწავლეების, საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ფონდ „იავნანას“ მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის მიზანი მოზარდთა წიგნიერების დონის ამაღლება და რეგიონალური ბიბლიოთეკების წიგნებით გამდიდრებაა. ასევე, ახალგაზრდების აქტიური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. პარალელურად ჩამოყალიბდება ჯგუფები, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა მწერლისა და ნაწარმოების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან.

პროექტის „წიგნი ყველა სოფელს“ პრეზენტაცია 7 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

გიორგი მარგველაშვილმა პროვოკაციად შეაფასა საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა

რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა პროვოკაციად შეაფასა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. მისივე თქმით, სუვერენული ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევა საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევაცაა. პრეზიდენტის განცხადებით, რთული ვითარებაა მთლიანად რეგიონში, ამიტომ საქართველო უნდა იყოს ძალიან ფრთხილად, რათა პროვოკაციებს არ წამოეგოს. გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთის მსგავს ქმედებებს საქართველო საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებული მუშაობით პასუხობს. რუსული სამხედრო ვერტმფრენი და უპილოტო საფრენი აპარატი ოკუპირებული ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონებიდან 6 მარტს შემოვიდნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე და სამეგრელოსა და შიდა ქართლში გადაუფრინეს პოლიციის საგუშაგოებს.

გამეოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას სახელმწიფო ხვნის პროცესში ეხმარება

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ხვნის სამუშაოები შიდა ქართლის რეგიონში ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე 15-მდე სოფელში აქტიურად მიმდინარეობს,

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში ხვნის სამუშაოების მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი გიორგი ჩხეიძე და შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი ადგილზე გაეცნენ.

,,სახელმწიფოს დახმარება ახლა ყველაზე მეტად გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს სჭირდებათ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თებერვლიდან საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო, რომელიც ორიენტირებულია მცირემიწიანი ფერმერების მაქსიმალურ ხელშეწყობაზე. სახელმწიფო ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოში - ხვნის პროცესში ეხმარება ფერმერებს. პროგრამის ფარგლებში, წელს დახმარებას 800,000-მდე მცირემიწიანი ფერმერი მიიღებს“, - განაცხადა გიორგი ჩხეიძემ.

გამყოფი ხაზის მიმდებარე 15-მდე სოფელში - არბო, ნიქოზი, ტყვიავი, შავშვები, ავლევი, დვანი, დირბი და ა.შ ხვნის სამუშაოებს მხოლოდ სახელმწიფო შპს „მექანიზატორი“ ახორციელებს.

მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით წელს შიდა ქართლის რეგიონის 73513 ფერმერი ისარგებლებს. სასოფლო სამეურნეო, ხვნის ბარათი 48840 ბენეფიციარს დაურიგდა (ერთ ჰექტარზე 140 ლარის გაანგარიშებით). აგრო ბარათზე კი დარიცხული იქნება 50 ლარის შესაბამისი 50 ქულა (1 ლარი 1 ქულა).

ასევე დაიწყო პლასტიკური აგრო ბარათების დარიგება ლიბერთი ბანკის ფილიალებში - იმ რეგიონებში, სადაც სასოფლო—სამეურნეო ხვნის ბარათები ფერმერებს უკვე გადაეცათ. ლიბერთი ბანკის ფილიალებში პლასტიკური აგრო ბარათების აღება ბენეფიციარებს ექვსი თვის განმავლობაში შეეძლებათ. აგრო ბარათი ფერმერს გაუმარტივებს ურთიერთობას სასოფლო—სამეურნეო საქონლის მიმწოდებელ მაღაზიებთან. პროექტის ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების პროდუქტი (სასუქი, სათესლე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები) ნაწილ—ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მაღაზიაში.

აშშ რუსეთს სანქციებს უწესებს

აშშ რუს ჩინოვნიკებს სავიზო სანქციებს უწესებს.

,,რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ თეთრი სახლის განცხადებაშია ნათქვამი.

აშშ სანქციებს უწესებს იმ რუს ჩინოვნიკებს და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის და სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნაზე პასუხისმგებლებად მიიჩნევენ.

,,პრეზიდენტის განკარგულებით, დღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი შემოიღებს სავიზო სანქციებს რიგი ჩინოვნიკებისა და ფიზიკური პირების მიმართ“- ნათქვამია განცხადებაში.

სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურის ვადა შესაძლოა 6 თვით შემცირდეს

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ პარლამენტს ინიციატივით მიმართა, სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის ვადა 18-დან 12-თვემდე შემცირდეს.

არსებული მდგომარეობით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გაწვევით ვადიანი საკონტრაქტო (პროფესიული) მოსამსახურეებისათვის 18 თვიანი სამხედრო სამსახურის ვადაა დადგენილი, ხოლო არასაკონტრატო სამსახურის გავლის ვადა 12 თვეა.

„ამ ეტაპზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, შესაბამისი ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს გაწვევით ვადიან საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის იმ ოდენობის ანაზღაურების შეთავაზებას, რომელიც მათ შეუქმნიდა არასაკონტრაქტო მოსამსახურისაგან განსხვავებულ პირობებს და გაზრდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 18 თვიანი სამხედრო საკონტრატო სამსახურის გავლის მსურველთა რიცხვს. 18 თვიანი ვადის არსებობის შემთხვევაში, გართულდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი განვევით ვადიანი საკონტრატო მოსამსახურეების თავმოყრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზაშეწონილია საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის დადგინდეს 12-თვიანი სამხედრო სამსახურის ვადა“, — აცხადებენ სამინისტროში.

ცვლილებები „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონში შედის.

ალექსანდრე ჭიკაიძე - მოქალაქეებისადმი უკანონო მიყურადება არ ხდება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, მოქალაქეებისადმი უკანონო მიყურადება არ ხდება. როგორც ჭიკაიძემ ჟურნალისტებთან საუბარში სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, მოქალაქეების უფლებები არ იზღუდება.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ უკანონოდ არაფერი ხდება. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში გრძნობს. არ იზღუდება მათი უფლებები. პირიქით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ადამიანის უფლებათა, მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დამცველი და ეს საფუძველი ნამდვილად არ გააჩნიათ. როცა რეალური საფუძვლები იყო, რატომღაც მაშინ დუმდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც დღეს ამის შესახებ აქტიურად საუბრობს“, - განაცხადა ჭიკაიძემ.

ამასთან, შს მინისტრის განმარტებით, ფარულ მოსმენასთან დაკავშირებული საკითხის დასარეგულირებლად კონსულტაციები მიმდინარეობს.

„შევჯერდებით იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც მისაღები იქნება ჩვენთვისაც და საქართველოს მოქალაქეებისთვისაც“, - აღნიშნა მინისტრმა.

სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას ნამდვილად აქვს ბერკეტი, რომ ათასობით ადამიანს ფარულად მოუსმინოს, თუმცა ეს რამდენად გამოიყენება პრაქტიკაში, ამის თაობაზე ინფორმაცია არ აქვს. როგორც ნანუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ზოგადად ეს საკითხი დასარეგულირებელია.

„ეს არის თემა, სადაც მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრის გათვალისწინება იმ ფონზე, როდესაც წლების განმავლობაში ხდებოდა მოქალაქეების მოსმენა. მნიშვნელოვანია, გარკვეული მექანიზმის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს და შესაძლებელს გახდის მონიტორინგი და კონტროლი განხორციელდეს და საზოგადოების ჩართულობა მოხდეს“, - აღნიშნა ნანუაშვილმა.

არასამთავრობოთა ჯგუფმა დაიწყო კამპანია - „ეს შენ გეხება! ისევ გვისმენენ!“ (ინტერპრესნიუსი)

სეტყვის საწინააღმდეგო ტექნოლოგიები დაინერგება

სახელმწიფო სეტყვის საწინააღმდეგო სისტემაზე მუშაობას იწყებს. გადაწყვეტილება ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე მიიღეს. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროექტი 20 მილიონი ლარი დაჯდება და სეტყვისაგან მიყენებულ ზარალს 85—95 %—ით შეამცირებს.

პროექტს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ახორციელებს.

შეგახსენებთ, სეტყვა კახეთს რეგიონს თითქმის ყოველ წელს სერიოზულ ზარალს აყენებს.

სახელმწიფოს ხელშეწყობით სეტყვის საწინააღმდეგო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა კახეთის განვითარების 2014 - 2021 სტრატეგიის ნაწილია. კახეთის განვითარების სტრატეგია პრემიერ — მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის ბოლოს დაამტკიცა. დოკუმენტის თანახმად, მომდევნო 8 წლის განმავლობაში, ინვესტიციები ძირითადად სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება.

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

4 მარტს, დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან ტარიელ ღარიბაშვილთან ერთად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, სოფელ ხორნაბუჯისა და სოფელ ჭოეთის მოსახლეობას შეხვდა. სოფლის კრებაზე გადაწყდა, რომ ამ პროგრამით ხორნაბუჯში სტადიონი გაკეთდება და ამავე სოფლის საბავშო ბაღში ატრაქციონები დაიდგმება. ხოლო, სოფელ ჭოეთში წყლის სათავის გაწმენდა მოხდება და ჭის კეთილმოწყობა. ასევე გაიწმინდება ნაგავსაყრელი.

სოფლის კრების დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ხორნაბუჯის საბავშო ბაღსაც ესტუმრა, მოინახულა ბავშვები და ინგლისურის გაკვეთილსაც დაესწრო.

5 მარტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში სოფლის კრება ჩატარდა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, გამგებლის მოადგილე ნიკოლოზ ხუციშვილი და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ბეჟან სუხაშვილი დაესწრნენ. კრებაზე სოფლის მდარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტი გამოვლინდა. ზემო ქედის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ ამ პროგრამით საბავშო ბაღი და სოფლის ადმინისტრაციული შენობა გარემონტდება და დასასვენებელი პარკი მოეწყობა, სადაც განთავსდება აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტის გამოსავლენად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მოადგილესთან ნიკოლოზ ხუციშვილთან ერთად სოფელ ფიროსმანსა და საბათლოს 6 მარტს ესტუმრა. ფიროსმანში გამართულ სოფლის კრებაზე გადაწყდა, რომ გარე განათება გაკეთდება და 2008 წლის ომის დროს დაღუპული გმირების მემორიალი მოწესრიგდება.

რაც შეეხება სოფელ საბათლოს, იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფლის პროგრამის ფარგლებში, სოფლისთვის შეიძენენ სარიტუალო დარბაზს, თავისი ატრიბუტიკით. ასევე მოწესრიგდება დასასვენებელი პარკი, რომელიც შემოიღობება და განთავსდება ატრაქციონები.

სიღარიბის ფასი



საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა, თუმცა, გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, სიღარიბე მაინც გადაულახავ პრობლემად რჩება საქართველოსთვის, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა ბავშვთა 27 პროცენტი ცხოვრობს. საქართველოში ასევე მაღალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომლითაც საქართველო მესამე ადგილზეა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ასევე მაღალია იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სკოლამდელ განათლებაზე. როგორია ბავშვთა ყოფა საქართველოში და რას აკეთებს მთავრობა მის გასაუმჯობესებლად?

საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 2011 წლიდან 2013 წლამდე 25 პროცენტიდან 27 პროცენტამდე გაიზარდა. გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელის მაია ქურციკიძის თქმით, მართალია, უკიდურესი სიღარიბე შედარებით შემცირდა, მაგრამ ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ აღემატება დანარჩენი მოსახლეობის სიღარიბის დონეს.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ის დანახარჯები, რომელიც ღარიბი მოსახლეობისკენ იყო მიმართული, ძირითადად მიმართული იყო სხვა ჯგუფებისკენ და არა ბავშვებისკენ. შესაბამისად, ბავშვები კვლავ რჩებიან ყველაზე ღარიბ ჯგუფად. სწორედ ამიტომ იუნისეფი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, - ჩვენ მათთან ერთად ვმუშაობთ, - რომ სპეციალური შეღავათები იყოს შემოღებული ბავშვებთან დაკავშირებით“,-განაცხადა მაია ქურციკიძემ.

მაია ქურციკიძის თქმით, საქართველოში სოციალური დახმარების სისტემა საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებს. მოქმედი სისტემის ხარვეზებზე მეტყველებს დედათა და ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი:

„5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვი ილუპება წელიწადში. აქედან 300 ილუპება კვების დეფიციტის გამო. არადა, არსებობს დაბალბიუჯეტიანი გადაწყვეტები, რომელსაც შეუძლია შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა და გააუმჯობესოს მდგომარეობა“.

მაია ქურციკიძის თქმით, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაეროს ბავშვთა ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრის მოადგილის მარიამ ჯაშის თქმით, ვითარებას მნიშვნელოვნად შეცვლის სამთავრობო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მიკროელემენტების დეფიციტის აღმოფხვრაა:

„ჩვენ უკვე ვაწარმოებთ კონსულტაციებს, რომ მოხდეს ფოლიუმის მჟავითა და რკინის მიკროელემენტებით პურის ფქვილის გამდიდრება სავალდებულო წესით, საკანონმდებლო დონეზე. საერთაშორისო გამოცდილებით, ეს არის ყველაზე ეფექტიანი ჩარევა. ასევე ერთ-ერთ საკითხად გამოიკვეთა დედათა და ბავშვთა სამსახურების, სამშობიარო სახლებისა და პედიატრიული სამსახურების ე.წ. რეგიონალიზაციის გეგმა, რომელიც იქნება აღნიშნული სამსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარანტი“.

იუნისეფის ანგარიშის მიხედვით, კვლავ მძიმე ვითარებაა ბავშვთა განათლების კუთხითაც:

მარიამ ჯაშის თქმით, ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ, მიუხედავად წარმატებული დეინსტიტუციონალიზაციისა, დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მაინც რჩება 100-ზე მეტი ბავშვი. იუნისეფის მონაცემებით, ასევე საგანგაშო მდგომარეობაა ბავშვთა განათლების კუთხით: 15 წლის ბავშვთა 2/3-ს არ აქვს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სათანადო ცოდნა და უნარი, რაც ყველაზე უარესი შედეგია ევროპაში. გარდა ამისა, ბავშვთა 50 პროცენტს და ღარიბთა 70 პროცენტს არ მიუწვდება ხელი სკოლამდელ განათლებაზე, რაც საქართველოს განათლების მინისტრის თამარ სანიკიძის თქმით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკადემიური მოსწრების დონეზე.

„პრობლემაა არასწორი სკოლამდელი განათლება და ამ მიმართულებით არგადადგმული ნაბიჯები. ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებასაც. ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი, რომლის რევიზია ახლა მიმდინარეობს იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოხდეს ყველა საგნის შესწავლა სკოლაში“,-ამბობს თამარ სანიკიძე.

იუნისეფის ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მდგომარეობა. რა არის ამის მიზეზი? სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ განახევრდა ციხეებში მყოფი ბავშვების რაოდენობა:

„ადრე თუ იყო ყოველთვის 100-ზე მეტი, - 220-იც კი ყოფილა, - ამწუთში არის 45, მაგრამ მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში 38-დან 60 ბავშვამდე მერყეობდა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ძალიან დაბალი სასჯელები გამოიყენება ბავშვების მიმართ. მახსოვს, ადრე 4 წელი მიუსაჯეს 14 წლის ბავშვს იმის გამო, რომ მეზობელს ხიდან მოჰპარა 15 ლარის კაკალი. დღეს ხშირად გამოიყენება პირობითი სასჯელი, განრიდება და სხვა არასაპატიმრო სასჯელები“.

სოზარ სუბარის თქმით, იუნისეფის დახმარებით, პენიტენციურ სისტემაში მოხვედრილი ყველა ბავშვისათვის ინდივიდუალურად იგეგმება სასჯელი. გარდა ამისა, აშენდა სკოლის ახალი შენობა და პირველად განცალკევდა ერთმანეთისგან სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები. საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ამ და სხვა ნაბიჯებს მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონალურმა დირექტორმა მარი-პიერ პუარიემ, რომელსაც ნაყოფიერი შეხვედრები ჰქონდა საქართველოს მთავრობის წევრებთან:

„მინისტრებმა ნათლად წარმოაჩინეს მზადყოფნა მიჰყვნენ რეკომენდაციებს, რათა შემცირდეს ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემა, რომლის დროსაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბავშვების ინტერესი ნებისმერ ეტაპზე კანონთან შეხებისას. მთავრობის სურვილია განმტკიცება იმ წარმატებებისა, რომელიც მიღწეულია ბავშვთა ზრუნვის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგად, ოჯახების ხელშეწყობა, იზრუნონ საკუთარ შვილებზე. გარდა ამისა, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე ზრუნვა მოექცეს ეროვნული გეგმის ცენტრში“.

საქართველოს სახალხო დამცველი კი მიიჩნევს, რომ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია მხოლოდ ცალკეული ინსტიტუციების ძალისხმევით. უჩა ნანუაშვილის თქმით, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მოქმედების ერთიანი გეგმა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იქნება ყველა სახელმწიფო უწყება.

ხეში კვეთის ხელოვნება, რომელიც ჩვენს ისტორიას ინახავს

მასზე გაზეთმა „შირაქმა“ ერთხელ უკვე დაწერა. ჯერ კიდევ წლების წინ ვნერდით სოფელ ოზაანის მკვიდრ ახალგაზრდა თვითნასწავლ ბიჭზე- აბო ოზაშვილზე, რომელიც თავისი პატარა ხელებით ხის მასალისგან საკმაოდ საინტერესო ნივთებს ქმნიდა და არა მხოლოდ ქმნიდა, სასწაულად აჩუქურთმებდა. აჩუქურთმებდა დიდ ჯვრებს, ეკლესიებს, ხატებს, გულსაკიდ

ჯვრებს, ულამაზეს შანდლებს და თავად კი არ ინახავდა, საჩუქრად უძღვნიდა სკოლას, მეგობრებს, მამაოებს, ახლობლებს, სწირავდა სოფლის ტაძრებს . ჯერ კიდევ 23 წლის ბიჭისგან ამხელა შრომის გაწევა და საქმისადმი მიდგომა, სერიოზული განაცხადი გახლდათ. მით უმეტეს მაშინ, როცა ამას ქველმოქმედება მოსდევდა თან. ყოველ შემთხვევისთვის მაშინ, მისი ყველა ნაბიჯი გამართლებული იყო და მოსანონი. დღეს აბო ოზაშვილი 33 წლის გახლავთ, თოიძის სამხატვრო აკადემია დაამთავრა ხის ჭრის სპეციალობით, ოჯახიც შექმნა და კვლავ ხეზე მუშაობითაა დაკავებული, ოღონდ ამჯერად ეს არა გატაცება ან შემოქმედებითობაა, არამედ მის საქმიანობას ახლა უკვე სხვა დატვირთვა აქვს. ის ამით უზრუნველყოფს ოჯახს. როგორ გაგრძელდა ათი წლის წინ შემდგარი ინტერვიუს შემდეგ აბო ოზაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ამის შესახებ თავად მასთან საუბარში გავარკვევთ.

-აბო, გახსოვს ათი წლის წინანდელი ინტერვიუ გაზეთ „შირაქთან“?

-კარგად მახსოვს, მაშინ გაზეთში დაბეჭდილმა სტატიამ ჩემზე ძალიან კარგად იმოქმედა და სიმართლე გითხრათ, ცხოვრებაში წინსვლის მეტი ინტერესი გამიჩინა. თუმცა, მას მერე იყო თოიძეში სწავლის გაგრძელება და ოჯახის შექმნა.

-მომიყევი, როგორ ხარ ახლა, სად ხარ და რას საქმიანობ?

-დღესდღეობით იმის გამო, რომ სოფელში არანაირი ცხოვრების პერსპექტივა არ არის და დასაქმების მხრივ მკვეთრი კრიზისი შეინიშნება, დედაქალაქში ვცხოვრობ. იქ მეტი შანსია, შემოქმედმა ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს, ვიდრე სოფელში, სადაც ხალხს უჭირს, თანხა გადაიხადონ საოჯახო ნივთში, რომლის ღირებულება არც თუ ისე იაფია.

-რამდენადაც ვიცი, ხეზე მუშაობით განაგრძე შენი საქმიანობა და ეს საქმიანობა გახდა შენი ოჯახის შემოსავლის წყარო. რამდენად რთულია ბაზრის ათვისება ქალაქში, სადაც არაერთი ქვეყნიდან შემოსული ავეჯის სხვადასხვა პროდუქციის ფართო არჩევანია. იქნებ მოგვითხრო, როგორია საზოგადოების მოთხოვნა, ძირითადად რა საოჯახო ნივთებზე აკეთებენ აქცენტს მომხმარებლები?

-სწორედ ეგაა მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა და არჩევანიც, რომ პრინციპულად არ სურთ შემოსული ავეჯის შეძენა, რომელიც ხელოვნური ხის მასალისგან ან დაკუნული ხისგანაა შექმნილი, მიმაჩნია, რომ ქართველი ხალხი ყველაზე გემოვნებიანი მყიდველია, კარგი უნარი აქვთ გარჩიონ ნატურალური და უხარისხო, ისინი ხშირად არჩევენ, ერთი მარტივი, პატარა ნაჭერი ავეჯი დაიდგან,რომელიც ხის მასალისგან იქნება გაკეთებული,ან განაახლონ ძველი ავეჯი, ვიდრე გადატვირთულ და გადაპრანჭულ უცხოურ ავეჯში დახარჯონ ფული. სწორედ ამდენი უცხოური ავეჯის შემოსვლის ფონზე, თვით ყველაზე შეძლებული ადამიანებიც კი, ნამდვილი ხის მასალისგან დამზადებულ ავეჯს ანიჭებენ უპირატესობას.

-ანუ, ავეჯის აღდგენაზეც მუშაობ?

-კი, რა თქმა უნდა, ადამიანები ამას უფრო ხშირად ცდილობენ, ანდა ძველი ავეჯიდან ელემენტის გადმოღებას ითხოვენ.

-უმეტესად რა ფიგურები დომინირებს შენს მიერ დამზადებულ პროდუქციაში, საიდან იღებ ორნამენტის სახეებს?

-ფანტაზია ნამდვილად არ მაკლია, უამრავი რამ შემიძლია ამოვაჩუქურთმო ხეზე, ნებისმიერი მოთხოვნა შემიძლია დავაკმაყოფილო, თუმცა, დღესდღეობით გადატვირთულ ორნამენტებზე მეტად სადა და მარტივი მოხაზულობები ურჩევიათ დამკვეთებს, ყველა დროს ხომ თავისებური ხის ჩუქურთმები ახასიათებს, ყველა დროის მონაკვეთი თავის ისტორიას გვიყვება, ძველად იყო ბევრი ყვავილები, ყურძნის მტევნები, ირმის რქები, ამჯერად ავეჯში ორი ელემენტის მეტს აღარავინ ითხოვს, კმაყოფილდებიან ორი ფიგურის გამეორებით, თანაც არათუ მთელს ავეჯზე, არამედ ნაპირებზე, მეც ვეთანხმები, ერთი ელემენტი და რამდენიმე სწორხაზოვანი ელემენტის დართვა სავსებით საკმარისია, დღესდღეობით აღარაა მოდაში გადატვირთული ყვავილნარით ამოჩუქურთმება და ა.შ.

-შენთვის რა არის ეს საქმიანობა, შემოქმედება და ამ საქმისადმი სიყვარული, საქმე, თუ უბრალოდ შემოსავლის წყარო?!

- უგულოდ მუშაობა არ მიყვარს, საერთოდ, ნებისმიერ საქმეში თუ გული და სული არ დააყოლე, არც ღირს მუშაობა, მე რასაც ვაკეთებ, პირველ რიგში, მსურს, რომ თავად ვიყო კმაყოფილი ჩემს მიერ შექმნილი პროდუქტით, მერე კი, კლიენტი უნდა იყოს კმაყოფილი. უპირველეს ყოვლისა, ეს საქმე მიყვარს. იცით თქვენ, რომ ბავშვობიდან დაინტერესებული ვიყავი ხესთან მუშაობით, შემდეგ კი, ეს საქმე გახდა, ჯერჯერობით, ჩემი პატარა ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყარო.

- როგორ ფიქრობ, ის საქმე, რასაც შენ აკეთებ, ქართულია? რამდენად მისდევენ ამ საქმეს დღევანდელი ახალგაზრდები, ხომ არ იკარგება დღეს ხეში კვეთის ხელოვნება?

-დიახ, ქართულია და არ იკარგება, პირიქით, დღესდღეობით უფრო მეტად გამოცოცხლდა ამ მხრივ საქმე, ბევრი დაინტერესდა ხეში კვეთის ხელოვნებით და ბევრი ახალგაზრდა ცდილობს, გამოუვიდეს რამე, რა თქმა უნდა, ამაში არის რაღაც ფინანსური დაინტერესებაც, მაგრამ ხე ისეთი ძნელი სამუშაოა, თუ ნიჭიც არ მოსდევს ადამიანს, ვერაფერს გახდები. მხოლოდ შემოსავლის მიღების კუთხით თუ მიუდექი, არაფერი გამოვა. ამ საქმეს ცოდნა, სწავლა და უამრავი მეცადინეობა უნდა, ხელის სიმარჯვე და მასალის გონივრულად შერჩევა, კარგი იქნება, თუ ამ საქმით მეტი და მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება, რაც მეტი იქნება კონკურენცია, მით გაიზრდება ხეზე კვეთის ხელობის დახვეწის ტექნოლოგიაც და მაღალგემოვნებიანი მომხმარებლის მოთხოვნაც.

ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდა ხის მკვეთს შემოქმედებით შრომა- საქმიანობაში. მომგებიანი და დაფასებული ყოფილიყოს მუდამ მისი მარჯვენა.

ლალი მეხრიშვილი

„მე მინდა, ყოველთვის იცინო ლამაზად“

ბავშვის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის პირველ ექვს წელიწადს, სწორედ ამ ასაკში ხდება ბავშვის იმ თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბება, რომლებიც მომავალში განსაზღვრავს მის წარმატებებსა და მიღწევებს. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ექვს წლამდე ასაკის ბავშვებს შევუქმნათ ყველა პირობა, მათი ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის.

ყოველთვის თავდაუზოგავ მუშაობას ეწევიან ჩვენი რაიონის ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები აღსაზრდელთა სწორად განვითარებისათვის და აღზრდის მაღალი ხარისხის მიცემისათვის. ისინი წელიწადის ყველა ღისშესანიშნავ თარიღებს ლამაზ ღონისძიებებს უძღვნიან.

ასე იყო გაზაფხულის ამ ერთ მშვენიერ დღესაცდედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაღის 4-5 წლიანთა ჯგუფში. ჯგუფისთვსის პედაგოგ-თამუნა ლომსაძის, მუსიკის მასწავლებელ - აზა ლაპიაშვილის და საბავშვო ბაღის დირექტორის- ქეთევან ჩალახეშაშვილის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიების მხილველნი გავხდით. აქ დედის დღეს ზეიმობდნენ. დარბაზში გაზაფხულის პეიზაჟი და სადღესასწაულო განწყობა, წითელი ატლასის კაბებსა და შავ პიჯაკებში ერთნაირად გამოწყობილი გოგო-ბიჭები.. ყველაფერი საოცრად მიმზიდველი იყო. ადვილად მიხვდებოდით, რამდენი უზრუნიათ მშობლებს და მასწავლებლებს;

,,ყველაზე ლამაზო, ყველაზე კეთილო,
ნუ წურები მალ-მალე, ჰატარა დედიკო,
მე მინდა, ყოველთვის იცინო ლამაზად,
ნებივრად გიყლიდეს, მე ვეტყვი მამიკოს“..

ეს სიტყვები მთავარ ლაიტმოტივად გასდევდა ღონისძიებას; პატარა აღსაზრდელებმა; თომა ლომსაძემ, სოფიო იაკობიშვილმა, ილია ტოკლიკიშვილმა, ლიზი ზედელაშვილმა, მარიამ ნატროშვილმა, თორნიკე მაჩაბლიშვილმა, საბა პირზადოავმა, თეკლა ცაკაშვილმა, დემეტრე ფიროსმანაშვილმა, გიორგი კევლიშვილმა, გიორგი ლიქოკელმა, ბექა სესიტაშვილმა, ნიკოლოზ ღვედაშვილმა, თაზო ყაზარაშვილმა, ანდრია ბიკაშვილმა, ანა ზირაქიშვილმა, მარიამ მოდებაძემ, ნიკა ზუბიაშვილმა, ნიკა ხარაზიშვილმა, საბა კვანჭიანმა, ილია გიგოლაშვილმა, ნატალი და თიკო თითილოკაშვილებმა, გიორგი ქადაგიძემ, მარიამ მამისბედაშვილმა, მარიამ ყოჩიაშვილმა და ქეთევან ყაჭაშვილმა მთელი თავიანთი დეკლამატორული ნიჭის გამოვლენით უამრავი ლექსისა და დედებისადმი მიძღვნილი ლამაზი სიტყვებით, ტრადიციული ცეკვა-სიმღერების საოცარი შესრულებით, დარბაზში ოვაციები გამოიწვიეს და ცოტა ხანს ჩვენს ბავშვობაშიც „გვამოგზაურეს“.

ყველაზე ამაღლებული ღონისძიების დასკვნითი ნაწილი იყო, როდესაც მუხლმოდრეკილმა ბავშვებმა დედებს სამახსოვრო მისალოცი ბარათები გადასცეს. ისინი დედებს იმ დღეს ულოცავდნენ, რომელიც ყველაზე დაუვიწყარ და ბედნიერ დღედ აღიბეჭდება მათ მეხსიერებაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსხურის უფროსი – თამარ თამაზაშვილი, სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი - მაია ხუმარაშვილი, სპეციალისტი ეკატერინე გორდაძე და სხვა მოწვეული სტუმრები.

ელზა ხარაშვილი

დაპირისპირება არხილოსკალოს სკოლაში

სიღნაღის სასამართლომ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ლიანა ბუთხუზი სკოლაში აღდგენას ითხოვს, მის ინტერესებს სასამართლოში პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირი იცავს.

პროფკავშირში აცხადებენ, რომ დირექტორმა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე პირადი ინტერესებით გაათავისუფლა, რადგან დირექტორთა არჩევნებში არასასურველი კადრი მოეშორებინა. ბუთხუზს სკოლაში საათებიც ჩამოერთვა. ის ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ სკოლის დირექტორი გამუდმებით სამეურვეო საბჭოს დატოვებას სთხოვდა, წინაღმდეგ შემთხვევაში გათავისუფლებით ემუქრებოდა.

როგორც პედაგოგთა პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე **მაყვალა მაძღარაშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებენ.

სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორმა **ნათელა ბუთხუზმა** 2013 წლის 1 ნოემბერს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა ამავე სკოლის პედაგოგსა და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს **ლიანა ბუთხუზს**. როგორც თავად აცხადებს, ამ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ ახლად არჩეული იყო.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში აცხადებენ, რომ ლიანა ბუთხუზის გათავისუფლების საქმე პროფკავშირის იურისტმა დეტალურად შეისწავლა და დარღვევები გამოიკვეთა. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წევრ მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია.

„ამასთან, სკოლის დირექტორმა ნათელა ბუთხუზმა, 2013 წლის 1 ნოემბრით დათარიღებულ გათავისუფლების ბრძანებაში საფუძვლად მიუთითა ხელშეკრულების ვადის გასვლა. ის ამტკიცებს, რომ 2013 წლის 15 სექტემბერს (ანუ იმ დღეს, როდესაც სკოლასა და ლიანა ბუთხუზს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებას ვადა ამოეწურა) გამოსცა ბრძანება, რომლითაც შრომითი ურთიერთობა ლიანა ბუთხუზს თვენახევრით გაუგრძელა და სწორედ ამ პერიოდის გასვლის გამო, 2013 წლის 1 ნოემბერს, პედაგოგს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა. ლიანა ბუთხუზი კი აცხადებს, რომ იგი აღნიშნულ ბრძანებას არ გასცნობია და მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ შიეტყო მისი არსებობის შესახებ, რაც ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევაა. ამასთან, შრომის კოდექსში ახლად განხორციელებული ცვლილებების თანახმად დამსაქმებელი ვალდებული იყო, დასაქმებულთან დაედო შრომითი ხელშეკრულება მინიმუმ ერთი წლით“, – აცხადებენ პედაგოგთა პროფკავშირში. პროფკავშირში ეჭვობენ, რომ შრომითი ურთიერთობის თვენახევრით გაგრძელების შესახებ ბრძანება არის მოგვიანებით ჩამატებული, გაყალბებული დოკუმენტი და ის დირექტორის მიერ გამოიცა, საკუთარი უკანონო ქმედების გასამართლებლად.

პროფკავშირში ფიქრობენ, რომ რადგან ამჟამად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევ კონკურსს, რომლის ბოლო ეტაპზე სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორს ირჩევს, არ არის გამორიცხული, პედაგოგის გათავისუფლების დროს დირექტორი მოქმედებდა პირადი მოტივებით, თავისი კარიერული ინტერესებიდან გამომდინარე – ჩამოეცილებინა მისთვის არასასურველი სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

ამასთან, პედაგოგთა პროფკავშირის განცხადებით, მიმდინარე წლის 12 ნოემბერს სპმთპ-ის იურისტი, გრიგოლ ბაკურაძე გამოცხადდა სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში და შეხვდა საჯარო სკოლის დირექტორს. დირექტორის უკანონო გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით, სპმთპ-ის იურისტმა საჯარო სკოლის დირექტორს განუმარტა მისი მიერ ჩადენილი დარღვევები და შესთავაზა პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტის გზები, თუმცა უარი მიიღო.

„ქვეყნის მასშტაბით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ან წევრი გახდა დირექტორის მხრიდან ანგარიშსწორების ობიექტი. ყველა შემთხვევაში სპმთპ-მა მოახდინა დროული რეაგირება და დირექტორებთან კონსტრუქციული მოლაპარაკებების შედეგად შესძლო თავისი წევრების დაცვა. დედოფლისწყაროს არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორმა პირად საუბარში აღიარა მის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ „პრინციპულად“ არ შეცვალა გადაწყვეტილება, რის გამოც სპმთპ-მა უკვე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს სათანადო რეაგირების მოთხოვნით. პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ), უკანონოდ გათავისუფლებული პედაგოგის სამსახურში აღდგენის მიზნით, დავას სასამართლოში გააგრძელებს“, – აცხადებენ პედაგოგთა პროფკავშირში.

სკოლის დირექტორმა რამდენიმე კვირის წინ სერტიფიცირება ვერ გაიარა, პედაგოგთაგან ლიცენზიის მოპოვება არავის უცდია. თუმცა, დირექტორობის უფლება და შესაბამისი ლიცენზია ამავე სოფლის ლაბორანტმა **მაია სიმონიძემ** მოიპოვა.

სოფელ არხილოსკალოს სკოლის მოქმედი დირექტორი, ნათელა ბუთხუზი კატეგორიულად უარყოფს პროფკავშირის წარმომადგენელთა ბრალდებებს და მიიჩნევს, რომ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე უკანონოდ არ გაუთავისუფლებია. მას ამ საკითხზე ვრცელი კომენტარის გაკეთება არ სურს და აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ყველაფერია ნათქვამი. დირექტორს გული წყდება, რომ გულშემატკივრების იმედები ვერ გაამართლა. ამბობს, რომ განაწყენებულის პოზიცია არ აქვს და თავს ჩაჭრილად არ გრძნობს, ის მომხრეა, რომ ახალი თაობის კადრები მოვიდნენ.

„წინასაარჩევნო შეხვედრებზე ცალ-ცალკე ყველა დადიოდა, მაგრამ ერთობლივად, სკოლიდან, ანდა ჩვენი ორგანიზებით არ ყოფილა. მთელმა ქედების ზონამ იცოდა, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები როგორ მემუქრებოდნენ გათავისუფლებით. ალტერნატივა ვერ მოძებნეს, თორემ ჩანაფიქრს სისრულეშიც მოიყვანდნენ. ჯამალაშვილი სულ იმას იძახდა, ამდენი კადრი საიდან მოვიყვანო, რომ არხილოს სკოლა შევცვალოო... ამჯერად, განაწყენებული პოზიცია არ მაქვს თავს ჩაჭრილად სულაც არ ვგრძნობ, მომავლის იმედი მაქვს.. არარეალურია ბრალდება, თითქოს ნაციონალური მოძრაობის კადრი და მათი მხარდამჭერი ვარ. არხილოსკალოომ საპარლამენტო არჩევნებზე კარგი შედეგი რომ დადო, ეს სკოლის დამსახურება იყო. მთელი ოჯახი და ნათესაობა ოცნების მომხრე და აქტივისტები ვიყავით. მომხრე ვარ, რომ ახალგაზრდა კადრები მოვიდნენ და ჯანსაღი კონკურენცია იყოს. ახალგაზრდებს მოვუწოდებდი, გაევლოთ სერტიფიცირება. გულწრფელად გითხრათ, სოფელიც და სკოლაც გვერდით მედგა და გული მწყდება რომ მათი იმედი ვერ გავამართლე. დირექტორი ვიქნები თუ არა, დიდი არაფერი. სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ და ასე გავაგრძელებ მუშაობას პრობლემა არ არის,“ - განუცხადა „შირაქს“ მოქმედმა დირექტორმა ნათელა ბუთხუზმა.

არხილოსკალოს საჯარო სკოლაში ამჟამად 165 მოსწავლე ირიცხება. ნათელა ბუთხუზი იმავდროულად ქიმიის მასწავლებელიც გახლავთ.

ილია მარტყოფლიშვილი

„კეთილი სამარეული“ ჩვენს ბაღებში

ამ დღეებში დედოფლისწყაროს ნომერ მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში ჰუმანიტარული აქცია განხორციელდა, რასაც პატარა აღსაზრდელები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ბაგა-ბაღის ბავშვებს არასამთავრობო ორგანიზაციის „კეთილი სამარეულის“ წევრები ხვიჩა ჯიქია და ჩვენი თანამემამულე, ამავდროულად კომპანია „სილქნეტის“ დედოფლისწყაროს ფილიალის დირექტორი ზურაბ ჯორკოშვილი სტუმრობდნენ. მათ პატარა აღსაზრდელები მოინახულეს და შემდეგ გერმანელი ბავშვების მიერ გამოგზავნილი ამანათები გადასცეს. საკმაოდ ლამაზად მორთულ სასაჩუქრე ყუთებში, რომლებიც პატარებმა სიხარულისგან მაშინვე გახსნეს, ფრიად სასიამოვნო და ორიგინალური საჩუქრები იყო მოთავსებული: გასაფერადებლები, სახატავი რვეულები, ფანქრები, ფლომასტერები, რბილი სათამაშოები, შოკოლადები, ბავშვის ჩასაცმელი მაიკები და თქვენ წარმოიდგილეთ გერმანული, ძვირფასი ძაფებით მოქსოვილი წინდები და შარფიც კი მიიღეს ბავშვებმა.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ბოლო დროს არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი სამარეული“ დედოფლისწყაროს სკოლებსა და ბაგა-ბაღებს ხშირად სტუმრობს და ბავშვებს საკმაოდ ხელდამშვენებული აკითხავს. რამდენიმე კვირის წინ იგივე ორგანიზაციამ საჩუქრები სოფელ არბოშიკის და ოზაანის ბაგა-ბაღშიც დაარიგა, უახლოეს მომავალში კი, დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლასა და სამრეკლოს საჯარო სკოლებში გეგმავენ მსგავს აქციას. —„ ორგანიზაცია „კეთილი სამარეული“ რამდენიმე წლის წინ დაარსდა ჩემი მეგობრის ხვიჩა ჯიქიას მიერ, რომლის ერთ-ერთი წევრი თავად მეც გახლავართ, არასამთავრობო ორგანიზაცია უკვე კარგა ხანია ცდილობს დაეხმაროს და ცხოვრება გაუხალისოს ჩვენს ბავშვებს, რისთვისაც იგი ძალ- ღონეს არ იშურებს, ეს გახლავთ სიკეთე, რომელიც ჩვენის მეშვეობით ყველა პატარის ოჯახში შედის, ორგანიზაციის მიზანიც სიკეთის ქმნა და ბედნიერი ოჯახების შექმნაა. ვფიქრობ, არ არის ცუდი, თუ მცირედით მაინც გავახარებთ საქართველოში მცხოვრებ ბავშვებს. დღესაც ერთ-ერთი ასეთი დღეა, ბავშვების სახეზე დანახული ღიმილი ჩვენთვის ყველაფერია. ამჯერად ასეთი აქცია გვაქვს, ჩვენი ორგანიზაციის გერმანიასთან დამეგობრებამ შედეგად მოგვიტანა ის, რომ მივიღეთ ამანათები გერმანელი ბავშვებისგან, რომლებიც ჩვენის მეშვეობით ამანათებს უგზავნიან ქართველ ბავშვებს, ბიჭები უგზავნიან გოგონებს, ხოლო გოგონებიბიჭებს, სასაჩუქრე ყუთებში ხშირად ხარისხიან, გერმანულ ტანისამოსს ან და ქურთუკებსაც კი, ვხვდებით. მე ვცდილობ ეს საჩუქრები ჩემი მშობლიური რაიონის და სოფლებისკენ მოვიზიდო, მინდა საჩუქრები წამოვიდეს ჩემი რაიონის ბავშვებისკენ, ვიდრე სხვა რაიონში გადაიგზავნოს, ამიტომაც ხშირია ჩვენი ბავშვებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, რაც მე ძალიან მახარებს.“- აღნიშნა ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი სამარეულის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზურაბ ჯორკოშვილმა.

აქციას, რომელმაც იმ დღეს მეორე საბავშვო ბაღში ყველა პატარა გაახარა, ამავე ბაღის დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლებიც მათი დირექტორის მაია ყოჩიაშვილის ხელმძღვანელობით ესწრებოდნენ.

ლალი მეხრიშვილი

პუტინის ყირიმული ვნებანი

(პირველი გვერდიდან)

მოიქცა, ვიდრე 2008 წლის აგვისტოში ქართული ხელისუფლება. რუსული პროპაგანდა კი გაიძახის, რომ ყირიმში ე.წ. ბენდერელები რუსებს ავიწროებენ, მაგრამ, რეალურად, იქ კიევიდან არავინ ჩასულა და, თუ ვინმე ვითარების არევითაა დაკავებული, ეს ყირიმში რუსეთის ემისრები არიან. ყირიმში განლაგებული უკრაინული ქვედანაყოფები სამხედრო ბაზებიდანაც კი არ გამოსულან''. ერთი სიტყვით, ყირიმის ნახევარკუნძულზე მოვლენები დრამატულად ვითარდება და პუტინი, ალბათ, ფიქრობს, რომ ყველაფერ ამით მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის აღდგენას შეძლებს, თუმცა ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა... ყირიმის რუსული ოკუპაცია ყველაზე, ასე ვთქვათ, ახლობელი საქართველოსთვისაა, ამიტომაც ოპოზიცია ხელისუფლებას მოუწოდებს, გააქტიურდეს. ჩვენთვის რომ ვთქვათ, ოფიციალურ თბილისს ამ კუთხით აქტიურობა არ დაეწუნება - ქვეყნის საგარეო უწყებამ პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაც სწორედ ასე დაიწყო. ,,რუსეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა გადაწყვეტილება უკრაინაში, ყირიმში რუსეთის მოქალაქეთა დაცვის საბაბით და მდგომარეობის ,,სტაბილიზებამდე'' დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, სუვერენული, დამოუკიდებელი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის დაწყებას ნიშნავს და ამას აკეთებს რუსეთი, რომელიც 1994 წლის 5 დეკემბრის ბუდაპეშტის დეკლარაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთთან ერთად, უკრაინის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საზღვრების ურღვეობის გარანტორია. მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას სასწრაფოდ მიიღოს გადაუდებელი ზომები სიტუაციის ესკალაციის აღსაკვეთად და მიმართოს ყველა შესაძლო ძალისხმევას, რათა არ დაუშვას უკრაინის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესები სავალალო განვითარებას მიიღებს და ამ მორიგი ინტერვენციის შედეგად, ევროპაში ახალი ოკუპაციის მომსწრენი გავხდებით, რისი მაგალითიც საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი'', -აღნიშნულია საქართველოს მთავარი დიპლომატიური უწყების განცხადებაში. ამასთან, ყირიმის მოვლენებზე საგანგებო განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია: ,,დღეს უაღრესად საშიში განვითარება მიიღო უკრაინაში, კერძოდ კი, ყირიმში მიმდინარე პროცესებმა. რუსეთის ფედერაციის მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე პასპორტების დარიგება, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და კონტინგენტის გაძლიერება, ასევე გადაწყვეტილება, შეიარაღებული ძალებით დაიცვან უკრაინაში მაცხოვრებელ ,,თანამემამულეთა ინტერესები'', სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა, რაც ეწინააღმდეგება გაერო- სა და ეუთო- ს ფუძემდებლურ დოკუმენტებს, უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის საბაზისო პრინციპებს და საფრთხეს უქმნის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. დაუშვებელია, სახელმწიფოთა ბედი, მათი მომავალი და ტერიტორიული მთლიანობა წყდებოდეს უცხო სახელმწიფოს ზეწოლითა და ძალისმიერი ჩარევით. მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, არ დაუშვას ახალი კონფლიქტი ევროპაში და გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები, რათა მოხდეს შესაძლო აგრესიის თავიდან აცილება და შენარჩუნებულ იქნას უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა''. ისე,



უკრაინის ანექსია კრემლს, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის ექსპერტი რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ ყირიმზე თავდასხმა რუსულ კომპანიებს სერიოზულ ფინანსურ ზიანს მიაყენებს. ,,რუსეთს ,,გაუმართლა'', რომ ეს ამბები შაბათ- კვირას ხდება. ორშაბათს რუსეთის ბირჟები დაიწყებენ ვაჭრობას, ნახავთ, რა მოუვა რუსული კომპანიების აქციებსა და რუბლს მხოლოდ პირველ დღეებში. წარმომიდგენია, რა მოხდება, როცა პირველი სისხლი დაიღვრება! არაფერს ვამბობ სანქციებზე, როცა რუსი ოლიგარქები და მათი კომპანიები, ერთ მშვენიერ დღეს, აღმოაჩენენ, რომ ანგარიშები გაყინულია. უამრავი სხვა სიურპრიზიც ელით. საქართველოსთან ხუთდღიანი ომიდან წელიწადზე მეტი დასჭირდა რუსული კომპანიების აქციებს, ძველ ნიშნულს დაბრუნებოდნენ. ძალიან იზარალეს ყოველგვარი სანქციების გარეშეც. კატასტროფა ელით საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში'', -წერს გოცირიძე Facebook- ში. ყირიმის მოვლენებთან დაკავშირებით, განცხადება საქართველოს პრემიერმაც გაავრცელა, რომელიც მიიჩნევს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა არ დაუშვას: ,,ჩვენ მძიმედ განვიცდით უკრაინაში, ყირიმში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც რეგიონში ვითარების ესკალაციის სერიოზული კერა ხდება. რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, ამ ქვეყანაში დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანის შესახებ, აშკარად ხელყოფს უკრაინის სუვერენიტეტს და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა. ეს გადაწყვეტილება უფრო ფეთქებადს გახდის ვითარებას, რამაც უმძიმესი შედეგები შეიძლება გამოიღოს. კიდევ ერთხელ, გამოვხატავთ სრულ სოლიდარობას უკრაინელი ხალხისა და მათი გადაწყვეტილების მიმართ, ააშენონ ჭეშმარიტად დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო'', -ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

უკრაინის მიმართ პუტინის აგრესიულ ქმედებას მთელ მსოფლიოში აანალიზებენ და ცდილობენ გაარკვიონ, ეს რუსეთის პრეზიდენტის გათვლილი ნაბიჯებია თუ მისი, მართლაც, როგორც არაერთი ფიქრობს, ფსიქიკური გაუწონასწორებლობის შედეგი.

როგორც „ნიუ იორკ ტაიმსი" იტყობინებოდა, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ კრემლის ლიდერი სხვა სამყაროში ცხოვრობს, ანუ მან რეალობის გრძნობა დაკარგა. სხვა არაერთი ანალიტიკოსი ამბობს, რომ პუტინი ჭკუიდან გადადგა. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის მოქმედება, მისი არაერთი ნაბიჯი, სულ მცირე, ბოლო ათ წელიწადში გადადგმული, იმას ადასტურებს, რომ მისთვის ამგვარი მოქმედება ჩვეულებრივია და რომ ნაბიჯებს, როგორსაც ახლა დგამს უკრაინის მიმართ, უფრო გულცივი გათვლა განსაზღვრავს, ვიდრე სიგიჟე. ბრიუსელის კარნეგის ფონდის დირექტორი იან ტეხაუ ფიქრობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი მოგება-წაგების იმგვარ გათვლას ეყრდნობა, როგორიც დასავლელი პოლიტიკოსებისთვის უცხოა. პუტინი, მისი აზრით, დასავლეთისკენ უკრაინის სვლას რუსეთისთვის საფრთხედ მიიჩნევს და ამიტომაც მზადაა ამ საფრთხის თვიდან ასაცილებლად ძალიან დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური საფასური გაიღოს.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის, არსენი იაცენიუკის განცხადებით, ცივილიზებულ მსოფლიოში არავინ აღიარებს ყირიმში დაგეგმილ რეფერენდუმს უკრაინის ამ რეგიონის რუსეთთან მიერთების საკითხზე. იაცენიუკმა კიევში თქვა, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები ყირიმიდან და ბოლო მოუღოს სეპარატისტების მხარდაჭერას. ყირიმის პარლამენტმა ხუთშაბათს დაუჭირა მხარი რეგიონის რუსეთთან მიერთებას და 16 მარტისთვის დანიშნა ამ საკითხზე რეფერენდუმი. რუსეთის პარლამენტის ორივე პალატამ პარასკევს გამოუცხადა მხარდაჭერა რეფერენდუმს. საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს საკანონმდებლო ორგანომაც.

74 მომხრე, 0 წინააღმდეგი - 6 მარტს ამ შედეგით დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა უმრავლესობის მიერ შემუშავებული რეზოლუცია უკრაინის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, ხოლო ამავე საკითხზე უმცირესობის მიერ წარდგენილი ვარიანტი კენჭისყრის შედეგად ჩავარდა. დეკლარირებული სურვილის მიუხედავად, საპარლამენტო პოლიტიკურმა ძალებმა ვერ შეძლეს კონსენსუსის მიღწევა და ერთობლივი რეზოლუციის შემუშავება. "ქართულ ოცნებასა" და "ნაციონალურ მოძრაობას" შორის შეუთანხმებელი ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი რუსეთისთვის დასაწესებელ სანქციებს უკავშირდება.

2-დღიანი მოლაპარაკებებისა და დიდი მცდელობის მიუხედავად, ტექსტის შეჯერება ვერც ხუთშაბათს მოხერხდა და პარლამენტის სხდომაზე განსახილველად რეზოლუციის ორი ვარიანტი იქნა გატანილი. აქედან ერთი წარადგინა უმრავლესობამ, სახელწოდებით "პარლამენტის რეზოლუციის პროექტი უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ", ხოლო მეორე წარადგინა უმცირესობამ, სახელწოდებით "პარლამენტის რეზოლუციის პროექტი რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის მიმართ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შესახებ". 6 მარტის სხდომაზე დამტკიცებული რეზოლუცია არის უკრაინისადმი მხარდაჭერის გამომხატველი რიგით მესამე საპარლამენტო დოკუმენტი. ყოველი მათგანის დამტკიცებას წინ უძღოდა მწვავე კამათი პოლიტიკურ ოპონენტებს შორის.

აშშ-ს ადმინისტრაცია ცდილობს, თავიდან აიცილოს მსოფლიოს ახალი დაპირისპირება და პუტინთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ვაშინგტონი იუწყება, რომ ხუთშაბათს, საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. ოფიციალური ცნობების თანახმად, საუბრის დროს, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო, ამერიკა და მისი ევროპელი მოკავშირეები იძულებულნი გახდნენ საპასუხო ნაბიჯები გადაედგათ. კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიურ საშუალებებს შორის, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები სთავაზობს რუსეთს, არის პირდაპირი რუსულ-უკრაინული მოლაპარაკებები საერთაშორისო მეთვალყურეთა შუამავლობით, უკრაინაში საერთაშორისო დამკვირვებლების გაგზავნა, რუსეთის სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნება და არჩევნების გამართვა.

გაითვალისწინებს თუ არა პუტინი მეორე ზესახელმწიფოს ლიდერის შეთავაზებას და რა მოხდება უკრაინაში, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

აღდგომის მარხვა დაიწყო

წმიდა დიდმარხვა აღდგომის წინ 49 დღით ადრე იწყება და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე გრძელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდმარხვის პირველი შვიდეული, ამ დროს მართლმადიდებლები სურვილის, შესაძლებლობისა და მოძღვრის მარხვის კურთხევის შესაბამისად მკაცრ მარხვას კითხულობენ.

წელს დიდმარხვა დაიწყო 3 მარტს და ხსნილდება 20 აპრილს, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე.

რა არის დიდი მარხვა? ეს არის დროის ის მონაკვეთი, როდესაც უნდა დავკავდეთ სულის მაცხონებელი საქმით. ეს არის სულის განსაკუთრებული აღგზნებული მდგომარეობა, რომელიც მთელი პასუხისმგებლობითა და სისრულით არის განწყობილი ამ უდიდესი საქმის მიმართ. მარხვა არის ჩვენი ცხენივით გაჭენებული ცხოვრებისათვის ლაგამის ამოდება, უფლის გახსენება, ჩვენს ცოდვებზე დაფიქრება. როცა უფალმა ადამიანი შექმნა, ერთ-ერთი პირველი მცნება მარხვის დადება იყო. განსაკუთრებით გამოირჩევა პირველი და ბოლო კვირები.

პირველ კვირას ყოველდღე უნდა ვიაროთ ტაძარში, დავესწროთ მსახურებას თავიდან ბოლომდე, რომ არაფერი გამოგვეპაროს. უნდა განვაგდოთ სიზარმაცე, სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზები და მოწესრიგებულად დავესწროთ ყველაფერს. უნდა შევძლოთ მხურვალე ლოცვა, რომლის გარეშეც მარხვას აზრი არ აქვს. აუცილებელია, შევუდგეთ ჩვენი თავის შეცნობასა და განქიქებას, რათა გავიგოთ და ჩავწვდეთ იმას, თუ ვინა ვართ ჩვენ, ვცხოვრობთ თუ არა სახარებისეული სიმართლით, ჭეშმარიტად ვართ ქრისტიანები, თუ მხოლოდ სახელად ვიწოდებით? ვაგრძელებთ ეფრემ ასურის ლოცვებს, რომელიც ყველიერის სამშაბათს საღამოს იწყება. ამ დროს აუცილებელია გაგვახსენდეს ჩვენი ცოდვები. ცოდვები, რომლებიც ჩავიდინეთ ღვთის, მოყვასისა და საკუთარი თავის წინაშე და თუ შეგვიძლია ცრემლითაც მოვინანიოთ ისინი. უნდა მოვეპყროთ სხვას ისე, როგორც გვინდა ჩვენ მოგვექცნენ, უნდა ვისწავლოთ და გავაღრმავოთ სიყვარული.



კულმინაციური და მთავარი მომენტი არის ევქარისტია, ანუ ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება. კარგი იქნება, თუ მორწმუნენი მარხვის პირველი კვირის შაბათს, ან კვირას ეზიარებიან.

როგორ უნდა დავიცვათ მარხვის პირველი კვირა?

მარხვა არ არის მხოლოდ წიწიბურასა და კომბოსტოს მირთმევა. მარხვის მთავარი ნაწილი სულიერი მარხვაა, ხორციელი კი მას ეხმარება. შევეცადოთ, რომ არამხოლოდ სულიერად, არამედ ხორციელადაც მკაცრად ვიმარხულოთ. რა თქმა უნდა, არ უნდა მივიღოთ ცხოველური საკვები. სამარხვო საკვების მიღების დროსაც ზომიერება გვმართებს. პირველი კვირის ხუთი დღე უზეთო მარხვაა, შაბათ-კვირას კი ზეთი უკვე შეიძლება. საკვების ზედმეტი მიღება, განსაკუთრებით კალორიულისა, იწვევს ენერგიეს ჭარბად დაგროვებას ორგანიზმში და ეს ენერგია, ხშირ შემთხვევაში ვნებები რეალიზდება დაცემით და მანკიერი ჩვევებით.

მთელი მარხვის პერიოდში აუცილებელია ადამიანმა შეზღუდოს ტელევიზორის ყურება, პირველ და ბოლო კვირებში სასურველია საერთოდ არ ჩართოს. არ უნდა იაროს დაბადების დღეებსა და წვეულებებზე, თეატრებში, კინოებსა და სხვა გასართობ პროგრამებზე. გარეთ უნდა გამოვიდეს მოწესრიგებული, დავარცხნილი-დაბანილი, მხიარული, ისე, რომ არ ეტყობოდეს მარხულობს თუ არა. ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა გამოიტიროს ცოდვები, იმარხულოს უფლის წინაშე და არა ხალხის დასანახად.

რა ლოცვები იკითხება მძიმე კვირაში ტაძრებში?

დიდი მარხვის პირველი კვირის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს ტაძრებში ანდრია კრიტელის კანონი იკითხება, რომელშიც ძველი და ახალი აღთქმის ისტორიაა მოთხრობილი. დიდი და მცირე სერობის ჟამნები, შუაღამის და ცისკრის ჟამნები, III, VI, IX ჟამნი და სადილის ჟამნი. ოთხშაბათსა და პარასკევს აღესრულება ლიტურღია პირველშეწირულისა.

რა ლოცვები უნდა წაიკითხოს მორწმუნემ სახლში?

სახლში ჩვეულებისამებრ, უნდა წაიკითხოს დილა-საღამოს ლოცვები, რომელსაც მოყვება ეფრემ ასურის ლოცვები. ეფრემ ასურის ლოცვები წყდება პარასკევ საღამოს და ახლდება კვირა საღამოდან. ასეა მთელი მარხვის განმავლობაში, ვნების კვირეულის ოთხშაბათამდე. მთელი მარხვის განმავლობაში არ იკითხება დაუჯდომლები, გარდა შაბათ-კვირისა. შაბათს — ღვთისმშობლის, ხოლო კვირას — მაცხოვრის. სახარება იკითხება მხოლოდ იმ დღეებში, რომელ დღეებშიც მითითებულია საეკლესიო კალენდარში. რაც შეეხება ფსალმუნებს, იგი შეიძლება იქნას წაკითხული მთელი მარხვის განმავლობაში, გარდა ვნების შვიდეულის პარასკევიდან, ბრწყინვალე შვიდეულის ჩათვლით.

როგორ უნდა მოიქცნენ ის ადამიანები რომლებსაც მარხვის შენახვა რაიმე მიზეზით არ შეუძლიათ?

ვისაც ხორციელი მარხვა არ შეუძლია. ძირითადად ესენი არიან სნეულები და ღრმად მოხუცებული ადამიანები. სნეულებით ან სიბერით გათანგული ადამიანი, ცარიელია ვნებებისა და ცუდი აზრებისაგან, აქედან გამომდინარე, მას არ სჭირდება საკვებით მარხვა. არ სჭირდებათ ხორციელი მარხვა ასევე მიდგომილ (ფეხმძიმე) ქალებს. ამიტომ მისი რეჟიმი ისე უნდა განვსაზღვროთ, რომ ხორცისაგან განტვირთვის დღეები იყოს ოთხშაბათი და პარასკევი.

გახსენება

ილია ჯორკოშვილი



ტკივილიანი დღე გავიდა რაც შენ აღარ ხარ ამ ქვეყნად და შენი ხმა არ გაგვიგია, გულით მართალი, სულით მდიდარი და სიკეთით სავსე იყავი, ალბათ კარგ სიტყვას ვერ მოძებნის კაცი, შენ რომ არ გეხებოდეს. იყავი უწყინარი, უაღრესად კარგი, მოსიყვარულე მშობელი, შვილების და შვილიშვილების უძვირფასესი პაპა, კარგი მეუღლე. სამსახურშიც ყველასათვის კარგი იყავი, ყველას გულშემტკივრობდი. მეზობლებში და სამეგობროში გულწრფელი ადამიანის სახელ;ი გქონდა, ყველა გენდობოდა.

მოგტირით ყველა: შვილები, შვილიშვილები, მეუღლე, და, დისსშვილები და ძმისშვილები, ნათესავები და ყველა კეთილისმსურველები, ყველამ დაგაფასა ავადმყოფობის დროს და სიკვდილის შემდეგაც.

შენ ისეთი მადლიანი, მოსიყვარულე კაცი იყავი, რომ გვინდა ილოცო მათ სასიკეთოდ-ვისაც კი შენი სიკვდილი ეწყინა. ნათელში იყოს შენი კეთილი სული. ბოლო წუთებში ვერაფერს ამბობდი, მხოლოდ იცრემლებოდი და შენი შვილის მკლავებში დალიე სული. ეს ყველაფერი ძალიან მძიმეა ჩვენთვის, დაე მშვიდად განისვენე სამუდამო სასუფეველში კეთილო ,ჭკვიანო და მოსიყვარულე კაცო. შენ ხსოვნას დავიწყება არ უწერია. არ მოგაკლებთ ხსენებას და სანთელს.

მსუმბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა შენი ახლობლებისაგან.

მეუღლე მაყვალა ჯორკოშვილი
შვილები ზურიკო და ბელა.
შვილიშვილები: ილია, მაკა, ნიტა, ნიკა, ანა რძალი მარო, სიძე მამუკა;

ქ.დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქეთევან წერეთელის ოჯახს მამის

ჰექტორის

გარდაცვალების გამო.

მზია, თენგიზი, ნინო, ილია და ლია კობაიძეები სამძიმარს უცხადებენ ნიაზი ჯანაშვილს მამის

გიორგის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნიაზი ჯანაშვილის ოჯახს მამის

გოგია ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაი-საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

თენგიზ კოდიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მერი; შვილები ნათელა, ნიაზი, სოსო; სიძე ჯემალი ჯანყარაშვილი; შვილიშვილები ალიკა, მამუკა; ძმა ვალიკო; რძალი თამრიკო; ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან

გოგია ჯანაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 8 მარტს 4 საათზე; დაკრძალვა 9 მარტს 1 საათზე სოფ. ზემო მაჩხაანში;

კონკურსში გამარჯვებული ფოტოები გამოვლინდა

დასრულდა ფოტო კონკურსი - ,,პირველი თოვლი", რომელიც უკვე მერამდენე თვეა დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის ორგანიზებით მიმდინარეობდა.

კონკურსმა ადგილობრივების დიდი დაინტერესება გამოიწვია, განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოციალური ქსელების მომხმარებლები. დედოფლისწყაროელებს, და არა მარტო მათ, საშუალება ჰქონდათ კონკურსში მონაწილე ფოტოებისთვის შეფასება სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" მიეცათ.

როგორც გაზეთ „შირაქს" კულტურისა და სპორტის ცენტრიდან აცნობეს, კონკურსში მონაწილეობდა სამი კონკურსანტი, მიღებული ხმების მიხედვით ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

I ადგილი – ნუგზარ ყარაგვეზაშვილი - 825 მოწონება და 131 გაზიარება.

II ადგილი – დავით ჯინაშვილი - 672 მოწონება და 49 გაზიარება.

III ადგილი – ლია გოგილაშვილი - 134 მოწონება და 14 გაზიარება.

ორგანიზატორების განმარტებით, ახლო მომავალში, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართება ფოტოების ჩვენება დიდ ეკრანზე, სადაც გამოვლინდება ჟიურის მიერ გამარჯვებული და აქვე მოხდება გამარჯვებულების დაჯილდოვება.

I ადგილი

II ადგილი

III ადგილი

ვაშლოვანის ადმინისტრაციამ მოსწავლეებს უმასპინძლა

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ნაკრძალის საკონფერენციო დარბაზში დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების მოსწავლეებთან საინფორმაციო სახის შეხვედრები გამართა.

როგორც გაზეთ „შირაქს" ვაშლოვანის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ჩატარდა პრეზენტაცია დაცული ტერიტორიისა და ჯეირნის რეინტროდუქციის შესახებ, რამაც ახალგაზრდებში საკმაო ინტერესი გამოიწვია. მოგვიანებით მათ სპეციალური ბუკლეტები დაურიგდათ.

შეხვედრებში ქალაქ დედოფლისწყაროს N1 და N 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ტურ-ოპერატორები დედოფლისწყაროში

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეგიდით, საქართველოში მოქმედი ტურ ოპერატორი კომპანიებისათვის მოეწყო საინფორმაციო ტური დედოფლისწყაროში, კერძოდ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. ტურის მიზანს ახალი ტურისტული პროდუქტის - საფარის ტიპის ჯიპით გადაადგილების სერვისის პოპულარიზაცია და ასევე ვაშლოვანის უნიკალური ბუნებისა და იქ არსებული ტურისტული მარშრუტების გაცნობა წარმოადგენდა.

საფარის ტიპის ჯიპით გადაადგილება საკმაოდ გავრცელებული სერვისია უცხოეთის ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე. აღნიშნული ჯიპი ნახევრად ღია კორპუსი ვიზიტორებს საშუალებას აძლევს უფრო ცხადად ადევნონ თვალყური მათ ირგვლივ გაშლილ პეიზაჟებს და მძაფრი შთაბეჭდილებები მიიღონ ავტომანქანით გადაადგილებისას.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები გამორჩეული ბიო მრავალფეროვნებით, უნიკალური ბუნების ძეგლებითა და განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით და საინტერესო თავგადასავალს სთავაზობს იქ მისულ ტურისტს.

დაცული ტერიტორიების სააგენტო იმედოვნებს, რომ მომავალში ვაშლოვანი ქართველი ტურისტებისა და მძაფრი შთაბეჭდილებების მაძიებელ ვიზიტორთა შორის კიდევ უფრო პოპულარული და სასურველი მიმართულება გახდება.

შეგახსენებთ, ვაშლოვანის კომპლექსური ნაკრძალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ზეგანზე, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისიდან 200 კმ-ში მდებარეობს. საერთო ფართობია 4,868 ჰა, ტყით დაფარულია 4.032 ჰა, დანარჩენი ნაწილი ველებს, უდაბნოს, ხევებს და ალესილებს უჭირავს. ვაშლოვანი უნიკალური მცენარეებით გამოირჩევა. ნაკრძალად 1935 წლიდან ჩამოყალიბდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ნინო რობიზონის ასულ ბულაშვილს

ჩვენო მხიარულო ნინო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულს 8 მარტს- ქალთა დღეს და შენს საიუბილეო დაბადების დღეს- 55 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმთელობას, წინსვლას და ყოველივე კარგს. დარჩენილი შენი სიცოცხლე ყოფილიყოს ია-ვარდით მოფენილი. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

დედა ესმა, **და** ლია, **სიძე** დავითი,
დისშვილები - გიორგი და თიკო მეხრიშვილები.

სიახლე!

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.

მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 579 33 07 41; 555 00 79 16; 557 23 88 99; 790 40 82 15 იკითხეთ თამაზი.

„დედოფლისწყაროს საათი" კვირა 17:30

ყოველ კვირას 17:30 წუთზე გაეცანით დედოფლისწყაროს ახალ ამბებს, იხილეთ ვიდეორეპორტაჟები და მოუსმინეთ ადგილობრივ სტუმრებს „ობიექტივის" ეთერში თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი".
გადაცემის განმეორებითი ჩვენება 00:30 წუთზე

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 10.03		სამშაბათი 11.03		ოთხშაბათი 12.03		ხუთშაბათი 13.03		პარასკევი 14.03		შაბათი 15.03		კვირა 16.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
6°	5°	8°	6°	8°	4°	6°	4°	3°	0°	2°	0°	5°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K